საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/29 “ 5 ” აპრილი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამოწერაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2021 წლის 29 მარტის №06-2733 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსში 2000 წლიდან აღრიცხულია ქონებები შემდეგი მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით: თბილისი (ბაღის შენობა) კაიშაურის ქუჩა - ნარჩენი საბალანსო ღირებულება 133789,80 ლარი და მარნეულის ძველი შენობა - ნარჩენი საბალანსო ღირებულება 36497 ლარი, ხოლო 2003 წლიდან ბალანსში აღრიცხულია ქონება: ვანი (ძველი შენობა), საჩინო თავისუფლების ქუჩა №6 - ნარჩენი საბალანსო ღირებულება 11852,40 ლარი. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო უწყებებში მოძიებული მონაცემებით ზემოაღნიშნულ ქონებებზე არც მიმდინარე და არც წინა წლებში არ დასტურდება საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობის უფლება. ამასთან, აღნიშნული შენობები ფაქტიურად არასოდეს ყოფილა გამოყენებული საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ან რომელიმე სასამართლოს მიერ, რაც დადასტურებულია აღნიშნული ქონებების მოძიების მიზნით დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიებებით. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის 2017-2018 წლების აუდიტის ანგარიშში გაიცა რეკომენდაცია, რომ „აქტივების ეფექტიანად მართვის მიზნით მნიშვნელოვანია, დეპარტამენტმა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოიპოვოს ბალანსზე რიცხულ შენობა-ნაგებობებზე სრული ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მათი რეგისტრაცია ან/და ბალანსიდან ჩამოწერა“. აღნიშნულის საფუძველზე საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ითხოვს თანხმობის მიცემას მითითებული ქონებების ბალანსიდან ამოღების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნული ქონებების სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი